საქართველო
GEORGIA

სოფლის მეურნეობის
სამინისტრო
MINISTRY OF
AGRICULTURE

4792-01-2-201505221415

N 4792/01
22/05/2015

GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 130
თარიღი: 27 05 2015 წ.

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS)
დირექტორის მოადგილეს, ბატონ პაატა გაფრინდაშვილს
მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა #27, ბინა # 1

ბატონო პაატა,

თქვენი 2015 წლის 13 მაისის N 187 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ:

- 2012 წელს სამრეწველოდ გადამუშავებული ყურძნის რაოდენობამ 54 000 ტ შეადგინა, 2013 წელს - 92 773 ტ., ხოლო 2014 წელს - 124 606 ტონა;
- 2009 წელს სამრეწველოდ გადამუშავებულმა ყურძნის რაოდენობამ შეადგინა 23 000 ტ., 2010 წელს - 23 000 ტ., ხოლო 2011 წელს - 43 500 ტონა;
- საქართველოში 2004 წელს ჩატარებული ბოლო სასოფლო-სამეურნეო აღწერის შესაბამისად, საქართველოში აღრიცხული იყო 37 419 ჰა ვენახი, მათგან 22 227 ჰა კახეთში;
- სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2013 და 2014 წლებში გაშენდა დაახლოებით 5 000 ჰა ვენახი. 2014 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება დაიწყო. პირველ ეტაპზე რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის საკადასტრო აზომვა განხორციელდა. შესრულებული სამუშაოს ანალიზიდან დადგინდა, რომ რაჭაში დღეისათვის არსებობს 572,3 ჰა ვენახი, რომელიც 5510 ნაკვეთის სახით არის წარმოდგენილი და უმეტესად კერძო მეურნეებს ეკუთვნით. ვენახების უმეტესობა გაშენებულია ამბროლაურის რაიონში. ლეჩხუმში (ცაგერის რაიონი) დღეისათვის არსებობს 233.0 ჰა ვენახი, რომელიც 2871 ნაკვეთის სახით არის წარმოდგენილი და რაჭის მსგავსად, აქაც ვენახების უმეტესობა კერძო მეურნეებს ეკუთვნით. 2015 წელს გრძელდება ანალოგიური სამუშაოები უკვე კახეთის რეგიონში. გამოცხადებულია ტენდერი ყვარლის მუნიციპალიტეტის ვენახების საკადასტრო აზომვებზე.
- 2012 წლამდე ვენახების მასიური გაშენება საქართველოში არ ხორციელდებოდა.
- ვაზის უნიკალური და იშვიათი ქართული ჯიშების აღდგენის პროგრამის განხორციელება სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წელს დაიწყო. შემუშავდა სპეციალური პროგრამა, განისაზღვრა სამიზნე ჯიშების სია რეგიონების მიხედვით, ამ ჯიშებისაგან სანერგეში გამოყვანილი იქნა ნამყენი ნერგები, ხოლო 2015 წლის გაზაფხულზე ნერგების გავრცელება განახორციელა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა ფინანსთა სამინისტროს ხელშეწყობით.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N 6 ტელ./ფაქსი (995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 20 აგვისტოს #1090 განკარგულების შესაბამისად, მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით დადგინდა ღვინის კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია, შემდეგი ოდენობით: 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე – 40 თეთრი და 1 კგ საფერავისათვის – 25 თეთრი.
  საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს #1407 განკარგულების შესაბამისად, მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით დადგინდა ღვინის კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია, შემდეგი ოდენობით: 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე – 35 თეთრი და 1 კგ საფერავისათვის – 15 თეთრი.
- თეთრი ყურძნის (რქაწითელი, კახური მწვანე) ჩაბარების ფასმა 2014 წელს შეადგინა დაახლოებით 1 ლარი, ხოლო წითელი ყურძნის (საფერავი) – 1,95 ლარი. რაჭა- ლეჩხუმის რეგიონში ალექსანდროულ-მუჯურეთულის ჩაბარების ფასმა 8 ლარი შეადგინა. თეთრი ყურძნის ჩაბარების ფასმა 2013 წელს შეადგინა დაახლოებით 1 ლარი, ხოლო წითელი ყურძნის – 1,30 ლარი. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ალექსანდროულ-მუჯურეთულის ჩაბარების ფასმა 8 ლარი შეადგინა. თეთრი და წითელი ყურძნის ჩაბარების ფასმა 2012 წელს შეადგინა 1 ლარი, ხოლო რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ალექსანდროულ-მუჯურეთულის ჩაბარების ფასმა - 4 ლარი.
- თეთრი ყურძნის ჩაბარების ფასმა 2011 წელს შეადგინა დაახლოებით 0,70 ლარი, წითელი ყურძნის – 1 ლარი, ხოლო რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში - 3 ლარი. თეთრი ყურძნის ჩაბარების ფასმა 2010 წელს შეადგინა დაახლოებით 0,60 ლარი, წითელი ყურძნის – 0,80 ლარი, ხოლო რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში - 3 ლარი.

პატივისცემით,

დავით ტყემალაძე

დეპარტამენტის უფროსი

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი